ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N52

სხდომის ჩატარების დრო:
22 ნოემბერი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული ოთახი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, გრიგოლ შუშანია, კობა გურული.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, გაგა მანაგაძე, მარეხი ნიჟარაძე, რომან ქვაჩაკიძე, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 15 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

სულ: 8 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ნიშნიანიძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი **გაგა სანდუხაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი **ელეონორა**

გოგოლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ჭეიშვილი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მირზა ხიდაშელი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი **ვარლამ გობეჯიშვილი**, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის" ხელმძღვანელი **მალხაზ ბასილაძე**, ვაჟა ჯუღელი, გია ქობალიანი, გენადი კუჭუხიძე, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

2.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ"**

საკრებულოს ეკონომიკის, ქონები მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** ისაუბრა ზემოაღნიშნულ საკითხზე და კომისიის სახელით წარმოადგინა შემდეგი სახის რეკომენდაცია: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული საკითხი, რომლის თაობაზეც კომისიამ შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები. აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის პროგრამის რამდენიმე ქვეპროგრამის, კერძოდ, **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილების და პატაპეტების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების კაპიტალური შეკეთება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია, სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია,** ბიუჯეტი განსაზღვრულია 0 ლარით.

გამომდინარე იქედან, რომ, ზემოხსენებულ ქვეპროგრამებთან დაკავშირებით, ქალაქის მოსახლეობის მიერ საკმაოდ დიდი მომართვიანობაა (**სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოები, კარები და ფანჯრები)**-236 განცხადება, **სახურავების კაპიტალური შეკეთება**-46 განცხადება, **ლიფტების რეაბილიტაცია**-39 განცხადება, **პარაპეტების რეაბილიტაცია**-16 განცხადება) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოიძებნოს შესაბამისი თანხები და ასახვა ჰპოვოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ინფრასტრუქტურის პროგრამის შესაბამის ქვეპროგრამებში."

ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** სიტყვა გადასცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ **ბაქარ მახარაძეს** :„დღეს განვიხილავთ ჩვენი ქალაქისათვის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, ბიუჯეტის პროექტს, მინდა გითხრათ რომ 2025 წლის ბიუჯეტს ვიწყებთ 108 530 000 ლარით, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 6 მილიონი ლარით არის გაზრდილი ახლა კი დეტალურად განხილვისათვის სიტყვას გადავცემ საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ **დავით ნიშნიანიძეს.**"

ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, 2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 79278,0 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5967,2 ათასი ლარით (8,1%-ით).

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 65778,0 ათასი ლარით;

  2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 9%-ით (5467,2 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;
- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 13500,0 ათას ლარს;

  2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 3,9%-ით (500,0 ათასი ლარით) იზრდება.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 312,4 ათასი ლარით, რაც წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს.
- **სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 16940,0 ათასი ლარით, მათ შორის:**
- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1260,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 800,0 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 450,0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 8500,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 2500,0 ათასი ლარი;
  - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1100,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 4200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 150,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 700,0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 5530,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 5200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 300,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 30,0 ათასი ლარი.

  ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 1650,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან 200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე 150,0 ათასი ლარი;
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1300,0 ათასი ლარი.

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 12000,0 ათას ლარს;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრება 3998,2 ათას ლარის ოდენობით მათ შორის:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 108530.4,0 ათას ლარს (2024 წლის 15 ნოემბერს წარდგენილი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმასთან შედარებით იზრდება 8319,6 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორით: 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2025 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 460 ლარის ოდენობით ნაცვლად 1330 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 14622,6 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1700,0 ათასი ლარი;
  - ✓ გარე განათება და საგზაო ნიშნები - 4627,0 ათასი ლარი;
  - ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება- 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ ქალაქის კეთილმოწყობა -545,6 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება -5500,0 ათასი ლარი;
  - ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 2200,0 ათასი ლარით.
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 11820,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 9350,0,0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.
  - ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 2470,0 ათასი ლარი**

  მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.
- **განათლება - 23001,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი განათლება - 22500,0 ათასი ლარი;**

  2024 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 1877,0 ათასი ლარით (9,1%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;
  - ✓ **განათლების ღონისძიებები - 501,0 ათასი ლარი.**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 26020,6 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის სფეროს განვითარება - 13421,8 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა

სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით.

- ✓ **კულტურის სფეროს განვითარება -12103,8**

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -495,0 ათასი ლარი.**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- ➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 9392,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **ჯანმრთელობის დაცვა - 2457,0 ათასი ლარი;**

პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ➢ **სოციალური პროგრამები - 6885,0 ათასი ლარი.**
- ➢ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 21254,2 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ საკრებულოს დაფინანსება - 2549,0,0 ათასი ლარი;
  - ✓ მერია - 10260,0 ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 1200,0 ათასი ლარი;
  - ✓ თანამშრომლების სწავლება გადაწყადება - 100,0 ათასი ლარი;
  - ✓ სსიპ მუნიციპალური განვიტარების ფონდითვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 5376,00 ლარი, მათ შორის ძირი 3998,2 ათასი ლარი და პროცენტი - 1377,8 ათასი ლარი."

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარე ა.კოპალეიშვილი: „ჩვენი კომისიის სფერო ძირითადად ინფრასტურქტურული პროექტებია, ასევე ჩემთვის როგორც მაჟორიტარისთვის მნიშვენლოვანია განხორციელდეს მოსახლეობის მოთხოვნები. თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში არსებული პრიორიტეტები არასაკმარისად არის გათვალისწინებული, კიდევ განვმეორდები და ვიტყვი, რომ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით:** არ არის გათვალისწინებული თანხები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების, პარაპეტებისა და ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამებისთვის. აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა დაახლოებით 4 მილიონ 500 ათას ლარს შეადგენს. **ქალაქის კეთილმოწყობის მიმართულებით:** ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი თანხა სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისთვის. საყრდენი კედლების მოწყობა და ფასადების რეაბილიტაციის პროგრამები ასევე უყურადღებოდ არის დარჩენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელს დაგეგმილი გაქვთ მოცულობითი სამუშაოები ინფრასტრუქტურის კუთხით, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის სახელით გვექნება შენიშვნები, რომლებსაც წარმოგიდგენთ წერილობით."

მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების" სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ჩემთვის ცხადია, რომ წარმოდგენილი 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი დაგვიბრუნდება შესაბამისი შენიშვნებით. კანონის თანახმად, 10 დეკემბრამდე უნდა წარმოვადგინოთ ბიუჯეტის ახალი პროექტი, სადაც ვიმედოვნებთ, რომ ასახული იქნება მთავრობის განკარგულების ის ჩანაფიქრი, რომლის მიხედვითაც ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით 55 მილიონი ლარის გამოყოფაა დაგეგმილი. აღნიშნული თანხის არსებობა საშუალებას მოგვცემს, შესაბამისი ტენდერები გამოცხადდეს დროულად და მოსახლეობის პრიორიტეტული საჭიროებები დროში ეფექტურად დაკმაყოფილდეს. თუმცა, თუ მთავრობის განკარგულების გამოცემა ვერ მოხერხდება ზემოაღნიშნულ ვადამდე, აღნიშნული ცვლილებები აუცილებლად აისახება ბიუჯეტში 2025 წლის იანვრის დასაწყისში."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ სხდომის მიმდინარეობისას ჩვენი კომისიის მიერ დასმული კითხვები სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით წარმოვადგენთ წერილობით შენიშვნებს. ამასთან, მსურს გავამახვილო ყურადღება სოციალურ საკითხებზე, კერძოდ მედიკამენტების დახმარების პროგრამაზე. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამისთვის წლიური ასიგნების თანხა 320 ათას ლარს შეადგენს, რაც 2024 წელთან

შედარებით 100 ათასი ლარით მეტია. გვაინტერესებს, რამ განაპირობა აღნიშნული თანხის მატება? მომართვიანობა გაიზარდა თუ არის კიდევ სხვა მიზეზი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „მედიკამენტების დახმარების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გვაქვს გაფართოების ორი გეგმა. პირველი ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისთვის სარეიტინგო ქულის გაზრდას. ამჟამად, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმი მოიცავს 70 ათასამდე სარეიტინგო ქულას. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, სარეიტინგო ქულის გაზრდა 100 ან 120 ათასამდე იქნება უფრო ეფექტური, რადგან 120 ათასი ქულა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ამ ცვლილებით შესაძლებელი იქნება ბენეფიციარების არელის გაზრდა და მათთვის პროგრამის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მეორე გულისხმობს დახმარების ტარიფის გაზრდას. ამ შემთხვევაში, პროგრამა მოიცავს 0-დან 6 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდულ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანებს. აღნიშნული ჯგუფები მიიღებენ 300 ლარიან საგარანტიო ფურცელს, ხოლო სხვა დანარჩენი ბენეფიციარები – 250 ლარიან საგარანტიო ფურცელს, რაც წელიწადში ერთხელ მიეცემათ მედიკამენტების დახმარების სახით. ამ ინიციატივას უკვე წარმოვადგინეთ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისიაზე და გვქონდა ამ საკითხზე მსჯელობა."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „დათვლილი გაქვთ ქულის 100 ათასამდე გაზრდის შემთხვევაში რამდენი ბენეფიციარი ისარგებლებს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „დიახ, ჩვენი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ სარეიტინგო ქულის გაზრდის შემთხვევაში 1700 ოჯახი ემატება, რომელთა მომართვიანობა მედიკამენტებით დახმარების მოთხოვნით, სტატისტიკის მიხედვით, 20% შეადგენს."

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „ვფიქრობ, რომ უმჯობესია გავზარდოთ ქულა, რის შედეგადაც მოიმატებს ბენეფიციართა არეალი, შესაბამისად მეტი ბენეფიციარის დახმარებას შევძლებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, სარეიტინგო ქულის გაზრდა შესაძლებელია 120 ათასამდე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება შეეხებოდა მოწყვლად ჯგუფებს, რომელთა მხრიდან მომართვიანობა, სტატისტიკის მიხედვით, 17%-დან 20%-მდე მერყეობს. ამასთან,

გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად სარეიტინგო ქულის გაზრდისა, დახმარების თანხა უცვლელი დარჩება."

კომისიის წევრი მ. რიჟამაძე: „აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფი მოიცავს პირებს, რომლებიც სარგებლობენ საპენსიო ან შშმ პირის დაზღვევით. შესაბამისად, თუ სარეიტინგო ქულას გავზრდით 120 ათასამდე, რაც სახელმწიფო სტანდარტით არის განსაზღრული მნიშვნელოვნად გაიზრდება ბენეფიციართა არეალი, რაც საშუალებას მოგვცემს, მეტ პირს მივაწვდინოთ მედიკამენტების დახმარების პროგრამა."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „ჩემი აზრით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით მსჯელობას, რათა პროგრამის განახლებული პირობები მაქსიმალურად მოერგოს ბენეფიციართა საჭიროებებს და ეფექტურად განაწილდეს ბიუჯეტური რესურსები. თუ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნდება, ეს საშუალებას მოგვცემს, დეტალურად განვიხილოთ საკითხი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ამჟამად, 70 ათასამდე სარეიტინგო ქულით დახმარებას იღებს დაახლოებით 2 ათასი ოჯახი. თუმცა, სარეიტინგო ქულას 120 ათასამდე გავზრდით ბენეფიციართა რაოდენობა მნიშვნელოვნად მოიმატებს და მიაღწევს დაახლოებით 5 ათას ოჯახს. აღსანიშნავია, რომ არეალის ასეთი გაფართოება საშუალებას მისცემს მეტ მოწყვლად ოჯახს ისარგებლოს დახმარების პროგრამით. ამასთან, პროგრამის ტარიფი უცვლელი დარჩება."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „სამედიცინო დახმარების პროგრამაში 2024 წელთან შედარებით გაზრდილია საბიუჯეტო ასიგნების თანხა. გვაინტერესებს, რამ განაპირობა აღნიშნული თანხის ზრდა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ამჟამად, სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ბენეფიციარების დახმარება შეუძლებელი იყო იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი სამედიცინო დაწესებულებაში 24 საათზე ნაკლები დროით იმყოფებოდნენ, რადგან საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ამ სერვისს არ ფარავს. ამ პრობლემის გადასაჭრელად, გათვალისწინებულია ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც: სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 ათასს, შეძლებენ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების დაფარვის მოთხოვნით მოგვმართონ. აღნიშნულ შემთხვევაში, თანადაფინანსების პრინციპით, ჩვენ განვახორციელებთ მოთხოვნილი თანხის 70%-ის ანაზღაურებას."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „2025 წლის წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია შემდეგ პროგრამებში: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა,

შინმოვლის პროგრამა. 2024 წელს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 170 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტის მეოთხე ცვლილების შედეგად შემცირდა და 152 ათასი ლარი შეადგინა. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამისთვის საბიუჯეტო ასიგნებები კვლავ გაიზარდა. გვაინტერესებს, რამ განაპირობა აღნიშნული ზრდა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამაში გამოყოფილი თანხის გაზრდა განპირობებული მომართვიანობის დეტალურად დათვლის შედეგად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამაში თანხა 20 ათასი ლარით არის გაზრდილი, ეს განპირობებული იმით, რომ დღის ცენტრებში ყოველთვიურად ბავშვების რაოდენობა მზარდია. 2025 წლის ბიუჯეტში შინმოვლის პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ასიგნები გაზრდილია, რაც განპირობებულია სოციალურად დაუცველი ბენეფიციართა სარეიტინგო ქულის გაზრდით. ამ ცვლილების მიხედვით, 2025 წლიდან 120 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები შეძლებენ მიიღონ დახმარება შინ მოვლის პროგრამაში, თუკი ისინი არიან მარტო მაცხოვრებლები და ვერ ახერხებენ საკუთარ თავზე ზრუნვას. შინ მოვლის პროგრამის კმაყოფილება ნამდვილად არსებობს ორი ორგანიზაციიდან, რომლებიც მოქმედებს ბაზარზე, ესენია: კარიტასი და წითელი ჯვარი. ამჟამად ემსახურებიან 120 ბენეფიციარს, ხოლო სარეიტინგო ქულის გაზრდის შემთხვევაში 150 ბენეფიციარი შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ შინ მოვლის პროგრამით."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია პროგრამაში 2024 წელთან შედარებით საბიუჯეტო ასიგნების თანხა 413 ათასი ლარით მეტია და 2 მილიონ 168 ათას ლარს შეადგენს. რას გვეტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ამჟამად, 427 ბავშვი გყვას სამივე პროვაიდერ ორგანიზაციაში. ეს თანხა დავგეგმეთ და გავთვალეთ 450 ბავშვის უზრუნველყოფის მიზნით."

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: „ეს თანხა შეიძლება არ იყოს საკმარისი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „შეიძლება დაემატოს მომლოდინეთა რაოდენობა, ყოველთვის მზარდია. თემა ძალიან მტკივნეულია, არის სპეციალისტების პრობლემაც, არის იმ რესურსი ნაკლებობაც, რომელიც პროვაიდერ ორგანიზაციებს გააჩნიათ, ბავშვებისთვის სეანსების მიწოდების კუთხით. დინამიკა არის მზარდი და

კარგი იქნება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან კონკურენტული გარემოსა და ცენტრის შექმნა, რომელიც მიიღებს დიდი რაოდენობის ბენეფიციარებს."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამაში 2024 წელთან შედარებით თანხა გაზრდილი 80 ათას ლარამდე. რას გვეტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „აღნიშნულ პროგრამაში მოაზრებულია ყოველთვიური 30 ლარიანი დახმარების 40 ლარამდე გაზრდა, რომელიც კომუნალური დანახარჯების ანაზღაურებას გულისხმობს."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „2025 წლის ბიუჯეტის პროექტში „HER–2 რეცეპტორ-დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტებით დახმარების პროგრამა" არ არის გამოყოფილი შესაბამისი თანხა. გვაინტერესებს რას გვეტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდება დაფინანსება ძუძუს კიბოს აგრესიული ფორმების მკურნალობის ხარჯები. შესაბამისად აღნიშნული პროგრამა გაუქმდა."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „სასიამოვნო ფაქტია, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პრაგრამაში წლიური ასგინების თანხა ისევ 60 ათას ლარს შეადგენს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „შეგახსენებთ, რომ ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისა და მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ქვეპროგრამები გავაერთიანეთ, რადგან ორივე შემთხვევაში, პროგრამით სარგებლობდნენ ბავშვიანი ოჯახები. თუმცა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ მხოლოდ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები მიმართავდნენ პროგრამით სარგებლობის მიზნით, ხოლო მრავალშვილიან ოჯახთაგან არც ერთი განცხადება არ შემოსულა. ამიტომ, შევთავაზეთ, რომ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დაიწყონ ბიზნესი ან არსებული ბიზნესი გადამზადდეს, გამოყოს ცალკე ქვეპროგრამა. ჩვენგან მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას, რომ მათ შეეძლებათ მიმართონ პროგრამებს და მიიღონ დამატებითი შემოსავალი."

კომისიის წევრი მ.ჭოხონელიძე: „60 ათასი ლარი არის ათვისებული?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „არა, წელს მხოლოდ ბავშვიანი ოჯახები მოგვმართავდნენ, რომლების მრავალშვილიანები არ არიან, მაგრამ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფნი იმყოფებიან. მათი რაოდენობა შეადგენს 13 -ს."

კომისიის წევრი მ.ჭოხონელიძე: „სოციალურად დაუცველის სტატუსისა და ქულის მქონე უნდა ყოფილიყო ბენეფიციარი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელი იყო ხუთი ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილება: სოციალურად დაუცველი სტატუსის ქონა;ქრონიკული სიღარიბის მდგომარეობაში ცხოვრება; ერთ-ერთი მშობლის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის ქონა; ერთ-ერთი მშობლის მხრიდან კანონთან კონფლიქტი და ა.შ.“

კომისიის თავმჯდომარე ა.კოპალეიშვილი: „გვინდა განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელმაც წინა წლებში ბიზნესის წამოწყების მიზნით ისარგებლა მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ქვეპროგრამით და მას შეუძინეს საჭირო დანადგარი. აღნიშნულ ოჯახს იმ პერიოდში ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი, სადაც საქმიანობას ეწეოდა. ამჟამად, მისი საცხოვრებელი პირობები შეიცვალა და ოჯახი გადავიდა ახალ საცხოვრისში. გვსურს გავიგოთ, აქვს თუ არა ამ ოჯახს შესაძლებლობა კვლავ ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით, რათა დავუფინანსოთ შენობის იჯარის თანხის გარკვეული ნაწილი და ხელი შევუწყოთ მისი საქმიანობის გაგრძელებას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისა ქვეპროგრამის ტექსტში არის მითითება, რომ წინა წლებში ვინც ისარგებლა პროგრამით, შემდგომ არ აქვს შესაძლებლობა მოგვმართოს. მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ტექსტში აღნიშნული მითითება არ არის, თუმცა ქალაქის მერის ბრძანების შექმნილი სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტს კონკრეტულ ქეისს.“

კომისიის წევრი პ. ლილუაშვილი: „ოჯახებს, როდესაც მათ ჰყავს ოთხი არასრულწლოვანი შვილი, ერთ-ერთის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორ შეიძლება გავაგრძელოთ ამ ოჯახების მხარდაჭერა სოციალური პროგრამების ფარგლებში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „მრავალშვილიანი მშობლის სტატუსს მოქალაქე იღებს იუსტიციის სახლიდან. დადგენილი კანონმდებლობის თანახმად, ოთხი შვილის შეძენისას მას ენიჭება ეს სტატუსი, ერთ-ერთი შვილის გარდაცვალებისას მას ეს სტატუსი ერთმევა. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გაკეთებული გვაქვს ჩანაწერი ოთხი ცოცხლად შობილი ბავშვი.“

კომისიის წევრი პ. ლილუაშვილი: „რამდენი არის ასეთი ოჯახი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ასეთი ოჯახი ბევრი არ არის, ამიტომ არ ვართმევთ მათ შესაძლებლობას რომ მიეცეს დახმარება.“

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „მრავალშვილიანი ოჯახებს სულადობის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არის შეცვლილი. თუ წინა წლებში აღნიშნული დოკუმენტი წელიწადში ერთხელ უნდა წარმოედგინათ, ამჟამად 6 თვეში ერთხელ უწევთ წარმოდგენა. იქნებ გადაიხედოს აღნიშნული საკითხი, ჩემი აზრით, სჯობს წლის განმავლობაში ერთხელ წარმოადგინოს აღნიშნული ინფორმაცია, თქვენს მიერ, თუ გაქვთ დათვლილი რამდენმა ადამიანმა ვერ ისარგებლა პროგრამით გათვალიწინებული დახმარებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „მოგახსენებთ, რომ დახმარება არავისთვის არ დაგვიკავებია და ბენეფიციარებს მიეცათ შესაძლებლობა, მოგვიანებით წარმოედგინათ აღნიშნული დოკუმენტები. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ოჯახების ნაწილმა, რომლებიც დახმარებას იღებდნენ, მუდმივი საცხოვრებლად გადავიდნენ საზღვარგარეთ. ამასთან, რთული გახდა მათი საცხოვრებელი ფართის ყოველთვიური კონტროლი, რაც აუცილებელია დახმარების პროგრამის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ქვეპროგრამაში გვიწერია, რომ ქუთაისში მცხოვრები დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად განისაზღვრა 6 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაში ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინოს ოჯახის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციული ერთეულიდან."

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: „თუ ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ცხოვრობს მოქალაქე არ უნდა იყოს სულადობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა 6 თვეში ერთხელ პრობლემა."

კომისიის წევრი პ. ლილუაშვილი: „მოქალაქეებისთვის არის პრობლემა, ყველა ვერ ახერხებს დოკუმენტის წარმოდგენას."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით იმსჯელებს კომისია და რეკომენდაციის სახით წარმოგიდგენთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვ.გობეჯიშვილი: „ერთი სიახლე გვაქვს და გავაჟღერებ, თქვენის ნებართვით, მნიშვნელოვანი საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის პერსონალური ასისტირების მომსახურების უზრუნველყოფა. აღნიშნული ქვეპროგრამის დანერგვის ვალდებულება დაეკისრა საქართველოში ყველა მუნიციპალიტეტს, რომელიც 2025 წლის იანვრიდან უნდა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის. წერილი გაგზავნილია ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროში, რათა განხორციელდეს მიზნობრივი ტრანსფერი. თანხის დახარჯვა მოხდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში."

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „პირველ რიგში, მინდა მივესალმო და წარმატებები ვუსურვო მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ახალ ხელმძღვანელს, ბატონ დ. ჭეიშვილს.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით უკვე ისაუბრა ბატონმა დ. ნიშნიანიძემ, ამიტომ მეტ დეტალებს აღარ შევეხები. თუმცა, თქვენი სამსახურის მხრიდან მინდა განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: დაპროექტების დროულად შესრულებას. სამუშაოს ხარისხს – შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს მაღალ სტანდარტებს. სამუშაოს შესრულების ვადების დაცვას – ვადების დარღვევა განაპირობებს პროექტების ეფექტიანობის შემცირება და იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მონაცემები არადამაკმაყოფილებელია, ჩვენი შენიშვნები ასახული იქნება სარეკომენდაციო წერილში."

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მხრივ კადრები საკმარისია? უმკლავდებით სამუშაოს?"

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ახალ ხელმძღვანელი, ბატონ დ. ჭეიშვილი: „ახალი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ ზედამხედველობის კუთხით დაემატოს კომპეტენტური კადრები."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში ახალი კადრები არის დასამატებელი."

კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „ყველა პროექტი ერთ პერიოდში არ იწყება, ჩემი აზრით აუცილებლობას არ წარმოადგენს კადრების დამატება."

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „რაციონალური დაგეგმვისა და არსებული კადრების ოპტიმალური განაწილების შემთხვევაში, ახალი კადრების დამატება შესაძლოა არ გახდეს აუცილებელი."

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ახალ ხელმძღვანელი, ბატონ დ. ჭეიშვილი: „2025 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხის ზრდა პირდაპირ განაპირობებს პროექტების რაოდენობის ზრდას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს ახალი კადრების დამატებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო პროცესების ეფექტურად დაგეგმვა, მონიტორინგი და შესრულება."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „2025 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ღონისძიებებს არ აქვს აღწერილობითი ნაწილი, აღნიშნული შენიშვნა წარმოდგენილი იქნება ჩვენი კომისიის სარეკომენდაციო წერილში."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „საჯარო ბიბლიოთეკის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით რა ხდება, ბატონო გია?"

ააიპ „ილ. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელი გ. ქობალიანი: „დღესაც მქონდა შეხვედრა, მოლოდინის რეჟიმში ვართ.“

კომისიის წევრი მ. სიმონიძე: „ვინ არის შემსრულებელი?“

ააიპ „ილ. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელი გ. ქობალიანი: „ტენდერში გამარჯვებული არის შსპ „დაგი“

კომისიის წევრი მ. სიმონიძე: „ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, ვის უნდა გაუფორმოს ხელშეკრულება?“

ააიპ „ილ. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელი გ. ქობალიანი: „ხელშეკრულებას უფორმებს ქალაქ ქუთაისის მერიას და გაფორმებული აქვს თუ არა, არ ვიცი. წერილობით რომ მიმართეს ჩემთვის ცნობილია.“

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „სართულის დამატებას აპირებენ?“

ააიპ „ილ. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელი გ. ქობალიანი: „არა, სართულის დამატება გვინდოდა საცავზე, მაგრამ ერთის მხრივ თუ ეს მოხდება დომინანტური შენობა გახდება, რაც ქალაქის განვითარების გეგმაში არ ჯდება. მეორეს მხრივ, დიდი მანქანა ვერ შედის და სართულის დამატება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. მასალის ატანა ხელით შეუძლებელია. ქალაქის მერიას მადლობა უნდა გადავუხადო ბიბლიოთეკის გარემონტების შემდგომ ერთი ათად მოიმატა მომხმარებელმა.“

კომისიის წევრი მ. ჯოხონელიძე: „წიგნების ფონდის განახლება როგორ ხდება?“

ააიპ „ილ. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელი გ. ქობალიანი: „ყოველწლიურად ხორციელდება 25 ათასი ლარის ფარგლებში წიგნებისა და 5 ათასი ლარის ფარგლებში ჟურნალების შეძენა.“

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „შადრევან-აუზების მოვლასთან დაკავშირებით რამდენად ართმევთ თავს და ფიქრობთ თუ არა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახული თანხა საკმარისი იქნება დასახული გეგმის შესასრულებლად.“

ააიპ „ქუთგანათების სერვისების“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „შადრევან-აუზების განათებისათვის საჭიროა ახალი ძვირადღირებული ძრავები, ეს არის სამ ფაზიანი ძრავი, ექვსი შემავალი წვერით, რომელშიც გათვალისწინებულია დაცვის მექანიზმი. თითოეული ძრავის ღირებულება 3-დან 5 ათასამდე მერყეობს, აგრეთვე დამატებულია ელექტრო ენერგიის გადასახადი. კიკვიძის სკვერის შადრევნისათვის ძრავი შეძენილი გვაქვს. თუ არ მოხდება რეაბილიტაცია ძრავების უნდა გამოვცვალოთ. ის თანხა რაც ბიუჯეტში გვაქვს ექსპლუატაციისათვის საკმარისი იქნება.“

კომისიის თავმჯდომარე ა.კოპალეიშვილი: „ნინოშვილის სკვერში რა ხდება?“

ააიპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „ნინოშვილის სკვერში ძრავები შეცვლილია, ჩამოიტანა კომპანიამ და დაამონტაჟა, თუმცა ერთი კვლავ დაზიანდა. იქ განხორციელდა მხოლოდ მექანიკური ელემენტის შეცვლა. თუ არ მოხდება აღნიშნული ძრავის შეკეთება, ახალი წლიდან ახალ ძრავებს დავამონტაჟებთ.“

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „განათების ბიუჯეტი შეცვლილია?“

ააიპ „ქუთგანათების სერვისების“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „განათების ბიუჯეტი შევამცირეთ, იმ მასალების ხარჯზე რაც გვაქვს და შეგვიძლია შევაკეთოთ.“

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „განათების ბოძები არ არის შესაცვლელი? ჭავჭავაძის გამზირზე ხიდის ქვეშ, დაზიანებულია.“

ააიპ „ქუთგანათების სერვისების“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „აღნიშნული საკითხი ჩემი სამსახურის მიერ ვერ განხორციელდება, საჭიროა პროექტის მომზადება.“

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „საღებავის ხარისხი კონტროლი როგორ ხდება?“

ააიპ „ქუთგანათების სერვისების“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „საღებავის ხარისხის გასაკონტროლებლად აუცილებელი ლაბორატორია, რაც არ გვაქვს საქართველოში. გაკონტროლება ხდება შრობის პერიოდის და სიბლანტის მიხედვით.“

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „სხვა მექანიზმი არ არის?“

ააიპ „ქუთგანათების სერვისების“ ხელმძღვანელი მ. ბასილაძე: „თუ შემოვიღებთ ცხელი პლასტიკით დაფარვას, მისი ექსპლუატაცია საკმაოდ ძვირი ჯდება.“

კომისიის თავმჯდომარე ზ.მახარაძე: „ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით, 6 მილიან 727 ათას ლარს შეადგენს, ამჟამინდელი ფაქტობრივი მოცემულობა 5 მილიონ 539 ათასი ლარს შეადგენს, მაგრამ წლის განმალობაში ამ თანხას აითვისებთ. თქვენი აიპ-ის შემადგენლობიდან გავიდა ბოტანიკური ბაღი და მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი, აქედან გამომდინარე არ ჩანს ხელფასებში ცვლილება, კერძოდ, შრომის ანაზღაურების მატება.“

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი: „ჩვენი აიპის შემადგენლობაში დაგვემატა ირინა ლომინაძის საორკესტრო გუნდი, კერძოდ, ორი შტატი საქმეთა მმართველი და დირექტორი.“

კომისიის თავმჯდომარე ზ.მახარაძე: „თქვენს ბიუჯეტში თუ არის გათვალისწინებული პედაგოგების საზღვარგარეთ მივლინებისას ტრანსპორტირების ხარჯები.“

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი: „2016 წლიდან ჩვენს პრეამბულაში გაწერილია, რომ საზღვარგარეთ მივლინებების გაცემის უფლება არ

გვაქვს. კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის საბიუჯეტო ასიგნირებულ თანხებში გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება საზღვარგარეთ მივლინებების დროს. ინეზა ავალიანი იყო რეზო ჩხეიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი, წიგნები მოამზადა გამოსაცემად და იქნებ გავითვალისწინოთ მომავლის წლის ბიუჯეტში."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „რამდენი ტომი არის?"

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: „რა თანხა არის საჭირო?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი: „ორი ტომი არის, 9 ათასი ლარი არის საჭირო."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად წლიური ასიგნების თანხა ნაკლებია 2024 წელს გათვალისწინებულ თანხასთან, შრომის ანაზღაურების ზრდა გათვალისწინებულია. გვაინტერესებს რამ განაპირობა აღნიშნული საკითხი?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" ხელმძღვანელი თ. ბაკურაძე: „მომართვიანობიდან გამომდინარე ბენეფიციარების რაოდენობამ მოიკლო."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „კვების ხარჯებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ, მოიმატებს?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" ხელმძღვანელი თ. ბაკურაძე: „ზუსტად ვერ გეტყვით, ტენდერი არ მაქვს ჯერ გამოცხადებული, მაგრამ სავარაუდოდ კვების ხარჯები გაიზრდება."

კომისიის წევრი მ. ჭოხონელიძე: „რის ხარჯზე შემცირდა თანხა?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" ხელმძღვანელი თ. ბაკურაძე: „მომართვიანობამ მოიკლო."

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: „სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირების სარეიტინგო ქულას აქვს მნიშვნელობა?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" ხელმძღვანელი თ. ბაკურაძე: „არ აქვს ქულას მნიშვნელობა, რადგან ჩვენთან არის ბენეფიციარები რომლებსაც არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი."

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „როგორც ვიცი შენობის სახურავი არის დაზიანებული, რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით?"

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" ხელმძღვანელი თ. ბაკურაძე: „არამხოლოდ სახურავი, მთლიანად შენობა არის დაზიანებული და მიმდინარეობს ალტერნატიული შენობის მოძიება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძემ დღის წესრიგის პირველი საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

მომხრე-0, მოწინააღმდეგე-6, თავის შეიკავა-2

დაადგინეს: ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არსებული შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხი **„საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში."**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე:** „საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით ყურადსაღებია საბიუჯეტო ნაშთების საკითხი, კერძოდ, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის წლის ბოლომდე, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის საკითხს, აგრეთვე იმ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას."

დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს. საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი **დ. ნიშნიანიძე:** „სახელმწიფო აუდიტის მიერ 14 მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესების მართვის საკითხების შემოწმების შედეგად აღინიშნა რიგი შენიშვნები. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ის, რომ ბიუჯეტის პროექტში არ იყო მითითებული თანამშრომელთა რიცხოვნობა. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ,** დააყენა ღია კენჭისყრაზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

მომხრე-15, მოწინააღმდეგე-0, თავის შეიკავა-2

დაადგინეს: ღია კენჭისყრის თანახმად საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიების გაერთიანებული სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზაქარ მახარაძე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამირან კოპალეიშვილი
ეკონომიკის ქონებისა მართვისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე